

ბსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების სრული ჩამონათვალი განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე (bsu.edu.ge) ფაკულტეტების მიხედვით (ვებგვერდის ველი „ფაკულტეტები“ - საგანმანათლებლო პროგრამები).

„ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის N37 დადგენილებაში (წინამდებარე გზამკვლევის დანართი 10) მოცემულია ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერა და მოცულობა.

**ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა** მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს და ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის.

**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა** მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს, ითვალისწინებს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადებას, აგრეთვე პირს ამზადებს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.

2018-2019 სასწავლო წლიდან ბსუ-ში ცხადდება მიღება **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე**. პროგრამის მიზანია დაწყებითი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადება და მისი უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს მიენიჭებათ განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხი და უფლება ექნებათ მიღებული კვალიფიკაციით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, უფროსი მასწავლებლის სტატუსით დასაქმდნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების I-IV კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების საგნობრივი ჯგუფისა და დამატებით - V-VI კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის ან ბუნებისმეტყველების მასწავლებლად. კურსდამთავრებული, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სკოლის გარდა დასაქმებას შეძლებს სხვა საფეხურის/ტიპის სახელმწიფო, არასამთავრობო, კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სტრუქტურებში.

**დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა** მოიცავს 360 კრედიტს, დიპლომირებული სტომატოლოგის პროგრამა - 300 კრედიტს. დიპლომირებული მედიკოსის და დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან.

**სადოქტორო პროგრამა** 180 კრედიტის ოდენობით, წარმოადგენს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობას, საიდანაც **60 კრედიტი** დაეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო დანარჩენი - სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. პროგრამა მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და სრულდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.